მარტო წელს რესპუბლიკის რაიონებმა დედაქალაქის საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებლებში უნდა გაგზავნონ 4600-ზე მეტი კაცი, ძირითადად იმ პროფსასწავლებლებში, რომლებიც ამზადებენ ისეთი პროფესიების კადრებს, რომლებიც არ გამოიყენება სოფლის პირობებში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ყოველმა მეორემ იმათგან, ვინც გაგზავნეს გორის, დუშეთის, კასპის, მცხეთის, თიანეთის პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ხოლო ყოველმა მესამემ სიღნაღისა და ქარელის რაიონების სასწავლებლებში გაგზავნილებიდან, მიიღეს თბილისის პროფტექნიკურ სასწავლებლებში სწავლის უფლება. ასეა გათვალისწინებული გეგმით. შრომითი რესურსების მომზადებისადმი ასეთ მიდგომას თადარიგიანს ვერ ეუწოდებთ. ამავე დროს გეგმები იქმნება საქართველოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წინადადებათა საფუძველზე, რომლებიც შემოზავებულია, უწინარეს ყოვლისა, თვით პროფტექნიკური განათლების სისტემის ინტერესებიც გათვალისწინებით.

რაღა გამოდის? უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობას ყოველწლიურად აკლდება დიდძალი მუშახელი, ბევრ სოფელში უბრალოდ მშრომელიც ადარ რჩება. მეორე, სახელმწიფო უზარმაზარ სახსრებს ხარჯავს მუშათა კადრების მომზადებისათვის პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები კი არ მკვიდრებიან წარმოებაში. მესამე, ისინი, ვინც თბილისში ბინავდება და სამუშაოზე საკუთარი შეხედულებისამებრ ეწყობა, ხელოვნურად ზრდიან რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობას, ახალი სარეწველო საწარმოები კი, რომლებისთვისაც ეფიცა ახალგაზრდა მუშების მომზადება, არ იძლევა კვალიფიციური კადრებით.

ამ პრობლემას დიდი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, და მის გადაწყვეტას პარტიულ კომიტეტებთან ერთად უაღრესად სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა.

საჭიროა მივაღწიოთ მაღალკვალიფიციურ მუშათა კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებისა და შრომითი რესურსების მომზადებაში ქალაქებისა და რაიონების რეალურ შესაძლებლობათა ზუსტ შეწონასწორებას. უკვე ახლა ეს მოთხოვნილებები და შესაძლებლობები განსაზღვრული უნდა იყოს არა მარტო მეთორმეტე ხუთწლედისათვის, არამედ უფრო შორეული პერსპექტივისთვისაც.

ᲐᲦᲓᲒᲖᲠᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲤᲘᲒᲣᲠᲐ

ᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ და აღზრდის პროცესში უმთავრესი ფიგურაა პედაგოგი, მასწავლებელი, ოსტატი. მრავალი პროფტექნიკური სასწავლებლის მუშობის გამოცდილება მოწმობს, რომ იქ, სადაც პედაგოგი უნარიანად და თანამიმდევრულად ადგენს გაკვეთილის სასწავლო-აღმზრდელობითს მიზნებს, იქ მოსწავლეები სასწავლებელს ამთავრებენ მეცნიერების საფუძვლის ღრმა, მტკიცე ცოდნით, მკაფიო იდეურ-ზნეობრივი პოზიციებითა და მრწამსით. ამასთან, რა საგანსაც უნდა ასწავლიდეს მასწავლებელი, იგი ვალდებულია იძლეოდეს მთავარ გაკვეთილს — მოქალაქეობრივობისა და მორალური სიწმინდის, წესიერების გაკვეთილს.

კრებზე დიდი პატივისცემით დასახელეს „საუკეთესო მასწავლებლის“ და „საუკეთესო სწავრმოო სწავლების ოსტატის“ წოდებისათვის რეკომენდაციური კონკურსის გამარჯვებულნი. ესენი ნიკალ ქალაქ თბილისის №36 პროფტექნიკური სასწავლებლის სპეციტექნოლოგიის მასწავლებელი დალი ბერგვაძე, ქალაქ ქუთაისის № 4 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი სერეგანდო ხვედელიძე, ქალაქ რუსთავის № 86 პროფტექნიკური სასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელი პოლინა ლობანცევა, ქალაქ თბილისის № 75 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ქიმიის მასწავლებელი ნათელა ხვედელიძე, ქალაქ ფოთის № 12 პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი ალეკსანდრე ალექსანდროვი, ქალაქ ქუთაისის № 37 პროფტექნიკური სასწავლებლის სპეციალიზაციის მასწავლებელი ცაცა ხურციელავა.

პარტია და მთავრობა, ჩვენი სახელმწიფო განუხრელად ზრუნავენ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის უმაღალ ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. დღეს შეიძლება ამყოფილებთ ითქვას, რომ ხელფასი გაუდიდდა სოფლის პროფფესიისა და ქვანახშირის მრეწველობის პროფტექნიკური სასწავლებლების დაახლოებით 1200 მუშას. საშუალოდ 35 პროცენტით გაიზრდება დანარჩენი კატეგორიების ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკების ხელფასი.

კრებზე განსაკუთრებით ბევრი ილაპარაკეს სასწავლებლის დირექტორმა ზ. ფალავანდიშვილ-ოსტატი. ამ ადამიანს, ალბათ, ბევრ ადამიანს, ეს ეტაპი ალბათ ბევრ ადამიანს, ეს ეტაპი ალბათ ბევრ ადამიანს, ეს ეტაპი ალბათ

Ე. ა. შევარდნაძე მოსკოვს დაბრუნდა

29 სექტემბერს ვაშინგტონიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, რომელიც სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიაზე.

აეროპორტში მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

საქართველოს გამოცდილება სასარგებლოა

თბილისში დამთავრდა საერთაშორისო სემინარი სამრეწველო განვითარების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე. იგი მოეწყო რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში სსრ კავშირისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში.

სემინარის მუშაობის ორი კვირის მანძილზე მისი მონაწილეები —აფრიკის 13 ქვეყნის წარმომადგენლები გაეცნენ სსრ კავშირში და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში სამრეწველო დაგეგმვის თეორიისა და პრაქტიკას.

სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ ემოგზაურთ ბაბასა და თელავში, რათა მკვლევრობდნენ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებისა და ყურძნის კრეფის ავტომატიზებული სისტემის შუშაობას, ეწყვინენ თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“.

გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის სამდივნოს წამყვანმა სპეციალისტმა არიფენ კ. უბადიამ მაღალი შეფასება მისცა სემინარის ორგანიზაციას.

„მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ წარმოდგენილმა მოხსენებებმა მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, — თქვა მან, — ყოველი მათგანის მოსმენის შემდეგ ცხოველი და ნაყოფიერი დისკუსიები იმართებოდა. მაგრამ მთავარი, დარწმუნებული ვარ, სამრეწველო დაგეგმვის დარგში საქართველოს პრაქტიკული გამოცდილების გაცნობაა. იგი მეტად საჭირო დღეს აფრიკის განვითარებადი სახელმწიფოებისთვის“.

სემინარი განვითარებადი ქვეყნების საკითხიდან სსრ კავშირისა და გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის წარმოებული თანამშრომლობის კონკრეტული მაგალითი გახდა.

სემინარმა შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები.

მშვიდობის მისიით

თბილისში იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის მომხრეთა დელეგაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვევით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ამერიკის ორგანიზაცია „მშვიდობის ხიდების“ წევრი რელიგიური მოღვაწეები და პედაგოგები.

სტუმრები გაეცნენ რესპუბლიკის ცხოვრებას, დაათვალიერეს მისი ღირსშესანიშნაობანი.

28 სექტემბერს ამერიკელი მშვიდობისსთვის მებრძოლნი მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პუბლიციუმის მდივანმა თ. ლაშკარაშვილმა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა დ. სმიტმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, ჩაბი გაუსვა, რომ ორგანიზაცია „მშვიდობის ხიდები“ მხარს უჭერს ეს ერნალ „ტაიმის“ კითხვების სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. შევარდნაძის, ამერიკელ მეგობრებმა ასევე აღნიშნეს, რომ ამ ფაქტს ეს ერნალ „ტაიმი“ ეროვნულ ინტერესად ფასობს.

ამერიკელ სტუმრებს ადგილობრივ ტელევიზიაზე ინტერვიუ მისცეს. ეს ინტერვიუ ეროვნულ ინტერესად ფასობს.

ამერიკელ სტუმრებს ადგილობრივ ტელევიზიაზე ინტერვიუ მისცეს. ეს ინტერვიუ ეროვნულ ინტერესად ფასობს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

პროფესიული ეთიკის უხეში დარღვევისათვის

რაგინდ დიდი დამსახურება ჰქონდეთ შშობლებს, რაგინდ მაღალი თანამდებობა ეკავთ, ეს განსაკუთრებულ, პრივილეგიერებულ მდგომარეობას არ უნდა უქმნიდეს მათ შვილებს. ასეთი რამ ერა მარტო ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპებს, არამედ, ხშირად, გამოუსწორებელ ზიანსაც აყენებს მოზარდი თაობის აღზრდას, რომელიც ცხოვრების მრუდი ბილიკებით, კანონის აცილით იწყებს.

ყოველივე ეს მკაფიოდ აღნიშნა ამასწინანდელ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც განიხილა იმ უხეშ დარღვევათა საკითხი, რომლებიც ხდება მოსწავლეთა შორისთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. შესელისათვის შემაკავების მისაღებად. წლეულს ამ ფაკულტეტზე წარმოებას მოუწყვეტლივ შესული 38 აბიტურიენტი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა ისეთ თანამდებობებზე მუშაობას, რომლებიც მათ შესაძლებლობას აძლევდა შეღავათიანი პირობებით ჩარიცხულიყვნენ უმაღლეს სასწავლებელში. ბევრ შემთხვევაში შვილების შრომითი მოწყობისას გამოვლინდა შემთხვევა ეროვნულ-ეგოიზმის, თავიანთი სამსაზიურებრივი მდგომარეობის გამოყენების ფაქტები. სხვადასხვა როგორ შეიძლებოდა იურისტებ-სულტების, იურისტ-პრეტენზიონისტების თანამდებობებზე ემუშაავან მოზარდებს, თუ, ნორმატიული დოკუმენტების თანახმად, ამ თანამდებობებზე ინიშნებიან პირები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება ან, გამონაკლის შემთხვევაში, იურიდიული სპეციალობით სულ ცოტა სამი წლის მუშაობის სტაჟი, ანდა ის პირები, რომლებიც უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის ბოლო კურსებზე სწავლობენ.

იმათ შორის, ვინც იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას და კანონის გვერდის ავლით უპირატესი ხელმეწყობის რეჟიმს უქმნიდა თავის შვილებს, პროკურატურის მუშაკებიც აღმოჩნდნენ.

რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ მკაცრად იმსჯელა ამ ფაქტებზე. პროფესიული ეთიკის უხეში დარღვევისათვის თანამდებობებიდან გათავისუფლეს: ქალაქ რუსთავის პროკურორი მ. ზ. ქერდაძე, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე გ. გ. მთვარელიძე, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი რ. ა. ხუხუნარია, თბილისს პროკურორის უფროსი თანაშემწე გ. ლ. კერესელიძე, თბილისის პროკურორის თანაშემწე შრომა-განსწორებით დაწესებულებებში კანონის დაცვისადმი ზედამხედველობაში ე. გ. ტყვეშელიანი და თბილისის 26 კომბინრის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწე ვ. კ. ვარაზაშვილი. (საქინფორმი).

რ. განდი: ინდოეთი მუშვიდობისათვის ილვწის

დელი. ინდოეთი იღვწის პლანეტაზე მშვიდობის გამამტკიცებლობისათვის, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის, განაცხადა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა

ინდირა განდიმ ბუტანის (ლიმოსაელეთ ჰიმალაებში მდებარე სახელმწიფოს) დედაქალაქ ტაიმპუში, სადაც იგი ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება. როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ბუტანის ეროვნული ასამბლეის (პარლამენტის) დეპუტატების წინაშე გამოსვლისას ინდოეთის მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 40 წლისთავის წელს უნდა გაორკეცდეს ბირთვული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად და თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესის დასამყარებლად გამიზნული ბრძოლა.

რ. განდიმ პარლამენტარებს შეახსენა, რომ ექვსი ქვეყნის — არგენტინის, ინდოეთის, მექსიკის, საბერძნეთის, ტანზანიისა და შვეიცარიის სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა მიმდინარე წლის იანვარში მიიღეს დელი დეკლარაცია, რომელიც მოუწოდებს ბირთვული იარაღისა და მისი მატარებლის სისტემების გამოცდის, წარმოებისა თუ განლაგების შეწყვეტას, გამაერთიანებელი შეიარაღების თავიდან აცილებას კოსმოსურ სივრცეში და ხელშეკრულების დადებას ბირთვული იარაღის გამოცდის ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ.

გახვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ძირითადი პირობაა, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, მთელ მსოფლიოს მტკიცე მშვიდობა.

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

საპალუტო ციხე - ცხელება ტოკიოს ბირჟაზე

ტოკიო. იაპონიის დედაქალაქის ბირჟა მოიცვა საკალუტო ეკონ-ცხელებამ, რომელიც გამოწვია ვაშინგტონის მიერ თავის მოკავშირეებისათვის თავსმოხვეულმა „ეკონომიკურ ომმა“ ღონისძიებებმა დოლარის გასაცვლელი ეკონომის შესაძლებლობ. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-ეკონომიკური ბალანსის გაუმჯობესებას — სადღეისოდ ამერიკული ვალუტის კურსი 1981 წლის დეკემბრიდან ყველაზე დაბალ დონემდე დაეცა. ერთ დოლარში 216,50 იენას იძლეოდნენ. სპეკულაციურ გარიგებათა მოცულობამ შუადღისათვის 1,3 მილიარდი დოლარი შეადგინა.

მდგომარეობამ საკალუტო ბაზარზე გაამლეფინა შეშფოთება იაპონიის სამრეწველო წრეებში. ისინი შეწუხებული არიან იმით, რომ იენის კურსის შემდგომი ამაღლება ხელს შეუშლიდა იაპონიის საექსპორტო საქონლის ფასებ, მაშასადამე, შეამცირებ მის კონკურენტუნარიანობას. სწორედ ამას ეს ნერვიფეს ეაშინგტონის ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობს „რეიგანომიკით“ წარმოშობილი პრობლემები ამერიკის საკაპრო პარტნიორებს გადაუღლიოს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

ᲐᲠᲘᲜᲓᲘ

ოქტომბერი შემოდგომის მეორე თვეა. დღის სიგრძეც ამ თვეში სწრაფად ეცვლებოდა, ამ კლიმატური მოვლენების ერთ-ერთ საშუალად ტემპერატურა საქართველოში 3-7, გრადუსით დაბალია სეკტემბერთან შედარებით. დასავლეთ საქართველოს ბარში იგი 15-17, ქართლის ბარსა და კახეთში 11-15, მთიან რაიონებში 9-14, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 5-8 გრადუსის ფარგლებში მერყეობს, მაგრამ ცალკეულ წლებში მკვეთრად განსხვავდება საშუალო მრავალწლიური ნორმისაგან:

რას გვპირდება ოქტომბერი?..

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, პაერის საშუალო ტემპერატურა წლეანდელ ოქტომბერში საშუალო მრავალწლიურ ნორმაზე მეტი შეიძლება იყოს.

თვის მეორე ნახევარში ღამღამობით მოსალოდნელია ტემპერატურის დაკლება — ბარში 5-10 გრადუსამდე (ქართლის დასავლეთ რაიონებში. შირაქის, ელდარისა და რესპუბლიკის მთიან რაიონებში მინუს 1-პლუს 4 გრადუსამდე, მაღალმთიან რაიონებში კი მინუს 5 გრადუსამდე).

ნალექების რაოდენობა საშუალო მრავალწლიურ ნორმაზე ნაკლებია მოსალოდნელი.

ნ. ᲑᲔᲠᲐᲫᲔ,
საქართველოს ᲡᲡᲠ. ᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲝᲑᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲣᲤᲝᲠᲘᲡ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡᲐᲨᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

30 სექტემბერი ● საკავშირო იუწყება

საუბარი ვაშინგტონში

ვაშინგტონი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე 27 სექტემბერს ეწვია და ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს.

მან პრეზიდენტს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის წერილი, სადაც ჩამოყალიბებულია მისი კონკრეტული მოსაზრებანი და წინადადებანი საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრასთან დაკავშირებით, რომელიც ა. წ. ნოემბერში უნდა გაიმართოს ჟენევაში. ეს მოსაზრებები უწინარეს ყოვლისა ეხება საკითხებს, რომლებიც ჟენევის ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების მოლაპარაკების საგანს წარმოადგენენ.

მხარეებმა დათქვეს, რომ ამ და სხვა საკითხებზე უმაღლესი დონის შეხვედრის სამზადისში ერთმანეთს გაგიზიარებ გაგრძელდება.

გამართული საუბარი ორივე მხარეს დიდნინშენელოვნად და სასარგებლოდ მიაჩნია.

საუბარს დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გ. მ. კორნიენკო და სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ა. დობრინინინ; ამერიკის მხრივ — შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში, სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი, თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელი დ. რეგანი და პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში რ. მაკფარლანი.

* * *

ამავე დღეს პრეზიდენტმა რ. რეიგანმა საუბარ გამართა ე. ა. შევარდნაძის პატივსაცემად.

Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲛᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ Ჯ. ᲨᲣᲚᲪᲗᲐᲜ

ვაშინგტონი. აქ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის კიდევ ერთი შეხვედრა.

მათ განაგრძეს აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომლებიც განხილულ იქნა მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით საბჭოთა მინისტრისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საუბრის დროს.

საუბრისას გააშუქეს შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების სხვადასხვა საკითხი, შეეხნენ მთელ რიგ რეგიონულ პრობლემებს.

იმსჯელეს აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთ საკითხზე. კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის საამზადისში მათი შესაძლო გადაწყვეტის თვალსაზრისით.

* * *

ამავე დღეს პრესის ეროვნულ კლუბში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგემ ვ. ბ. ლომეიკომ უპასუხა ამერიკელ და უცხოელ ჟურნალისტთა მრავალ კითხვას.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ნიუ-იორკი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს უ. სიუეციანს და ესაუბრა მას.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაციები საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ე. ა. შევარდნაძე უ. სიუეციანს ესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება სკკპ XXVII ყრილობისათვის, რა პრაქტიკული ღონისძიებანი ტარდებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. უ. სიუეციანმა ილაპარაკა ჩინეთის კომპარტიის სრულიად ჩინეთის კონფერენციის შედეგებზე, ჩინეთის სახალხო მეურნეობაში რეფორმების განხორციელების მიმდინარეობასა და პერსპექტივებზე.

ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა საეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებაში მომხდარი პოზიტიური ძვრების გამო. მათ განაცხადეს, რომ საჭიროა განუხრელად გახვითარონ სხვადასხვა მიმართულებით ორმხრივი ურთიერთობა და კონტაქტები, კერძოდ განაგრძონ პოლიტიკური დიალოგი.

საბჭოთა მოკავშინის სახელით უ. სიუეციანს გადასცეს მიმატოვება, ოფიციალურ ვიზიტად ეწვიოს საბჭოთა კავშირს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიწვია ე. ა. შევარდნაძე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოსაფერ ერო. ვიზიტების ვადებს დამატებით შეთანხმებენ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲠᲔᲒᲘᲝᲚᲣᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲞᲝᲜᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲘᲚᲝᲖᲔ

ჰავანა. კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო გამოვიდა რეგიონული დაცვის კომიტეტების შექმნის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე.

რეგიონული დაცვის კომიტეტი, თქვა კუბის ხელმძღვანელმა, 1960 წლის 28 სექტემბერს შეიქმნა შინაური და გარეშე კონტრეფოლუციის გაკაკუტიუბის პერიოდში, როგორც კუბის ხალხის მასების პასუხი იმპერიალისტურ შუქარაზე. არ მომხდარა კუბის წინააღმდეგ იმპერიალიზმის აქა ერთი მტრული აქცია, რომელზეც თავისუფლების კუნძულის ხალხს სათანადო პასუხი არ გაეცა. ხალხის გათიშვის ცდებს მოაყვა სახალხო ერთიანობის ლოზუნგი, ანტიკომუნისტური კამპანიას კუბელებმა უპასუხეს თავიანთი რევოლუციის სოციალისტური ხასიათის გამოცხადებით. ამერიკის შეერთებული შტატების უარს, შეესყიდა კუბური შაქარი, მოაყვა ამერიკულ შაქრის კარხნების ნაციონალიზაცია, ამერიკის შეერთებული და შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა მომავალი ძოლაპარაკებას, თუმცა ჩვენ მიერ მოღებული ინფორმაციის თანახმად — ახლა დიდი არ არის იმის პერსპექტივა, რომ ამერიკის მხარე უფრო გონივრულ, რეალისტურ პოლიტიკას დადგება.

„ვარსკვლავთის ომები“ და გაღლეფული ბირაღება დღითი დღე სულ უფრო რეალურ სახეს იღებს, თქვა ფიდელ ფ. კასტრომ. ეს უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკურ სიტუაციაზე. მსოფლიოში. დღითი დღე სულ უფრო სამიში ხდება გახვითარებადი სახელმწიფოების მდგომარეობა, სადაც მწვავდება აფეთქებასაშიში სიტუაცია.

ლათინური ამერიკის ქვეყნების დღევანდელი სინამდვილე ვერ ფულს შეადარებს კუბის ბდგოძარეობასთან, რომელიც მეოთხედი საუკუნეა სურთ დთრგუნონ ბომბებისა და ხმაურიანი ანტიკუბური კამპანიის მეოხებით. ჩვენ რომ კუბაში არ მოგვეხდინა სოციალისტური რევოლუცია, ვერ შეეძლებდით ვერაფერს, ბინის ქირასაც კი ვერ შეეამცირებდით და ვერ განვახორციელებდით ჭეშმარიტ სხვა პროგრამებს, როგორც ეს ვქენთ. ჩვენ რომ კაპიტალიზმის პირობებში გვეცხოვრა, ახლა ისეთსავე მდგომარეობაში ვიქნებოდით, როგორშიც ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნები არიან, თქვა ფ. კასტრომ. კონტინენტის ეერც ერთი ქვეყანა ვერ დაიტრაბახებს ისეთი წარმატებებით, როგორსაც სოციალისტურმა კუბამ მიაღწია. მაგრამ არ არსებობს პრობლემები, რომლებიც ჯადოსნური ჯოხით გადაიჭრება. ყოველი პრობლემის გადაჭრა მოითხოვს დიდ მეცადინეობას. ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებანი, და შეუწელებლად უნდა ვიბრძოლოთ მათი ლიკვიდაციისთვის, რათა კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ. ჩვენ ოპტიმისტები ვართ და ამისთვის ყველა საფუძველი გვაქვს.

დასასრულ ფ. კასტრომ გამოთქვა რწმენა, რომ რეგიონული დაცვის კომიტეტები კვლავაც გახაგრძობენ თავიანთ საქმიანობას მათთვის ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ. როგორც ოიპანეწერგიდან იუწყებიან, დასავლეთ გერმანიის „მწვანეთა“ პარტიის გამგეობის ოვა წევრმა, მთ შორის ექვსმა ბუნდესტაგის დეპუტატმა, პეტრ ორიანი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო დაიკავა. მათ საელჩოს შენობაზე გადმოკიდეს ლოზუნგები (სურათზე), რომლებზეც მოითხოვენ ბოიკოტი გამოუცხადონ აპარტეიდის რეჟიმს, გათავისუფლონ ნელსონ მანდელა და თანაბარი უფლებები მიანიჭონ ამ ქვეყნის მთელ მოსახლეობას.

ეს აქცია, ნათქვამია პარტიის მიერ ბონში გავრცელებულ განცხადებაში, იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მოეწყო, რომ „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს რასისტებს!“.

ᲐᲞᲐ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ᲐᲠᲘᲜᲓᲘ

ოქტომბერი შემოდგომის მეორე თვეა. დღის სიგრძეც ამ თვეში სწრაფად ეცვლებოდა, ამ კლიმატური მოვლენების ერთ-ერთ საშუალად ტემპერატურა საქართველოში 3-7, გრადუსით დაბალია სეკტემბერთან შედარებით. დასავლეთ საქართველოს ბარში იგი 15-17, ქართლის ბარსა და კახეთში 11-15, მთიან რაიონებში 9-14, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 5-8 გრადუსის ფარგლებში მერყეობს, მაგრამ ცალკეულ წლებში მკვეთრად განსხვავდება საშუალო მრავალწლიური ნორმისაგან:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲣᲤᲝᲠᲘᲡ

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ

თბილისი. ლენინგრადის „სარტაკა“-ცსკა — 97:94, მოსკოვის „დინამო“-მინსკის რტი — 87:76, თბილისის „დინამო“-ტაშკენტის „უნივერსიტეტი“ — 94:87; „კუბიჩევი“. კაუნასის „ველგრინისა“-რიგის ვეფი — 106:62, კუიბიშევის „სტროიტელ“-ვოლგოგრ ს „სტატბა“ — 68:94, კიევის ასკ-კიევის „სტროიტელ“ — 69:75, „ველგრინისა“-კიევის „სტროიტელ“ — 113:92, კუიბიშევ ი ს „სტროიტელ“-ეფფი — 94:76, ასკ-„სტატბა“ — 78:92. დღეისთვის გუნდების სატურნი რ ო მდგომარეობა ასეთია: „ველგრინისა“ — 5 გამარჯვება /5-დან/ „სპარტაკი“, ცსკა და მოსკოვის „დინამო“ — 4-4, „სტატბა“ და კუიბიშევის „სტროიტელი“ — 3-3, რტი, კიევის „სტროიტელი“ და ეფფი — 2-2, თბილისის „დინამო“ — 1. კიეველ არმიელებს და ტაშკენტის „უნივერსიტეტს“ არცერთი მატჩი არ მოუგიათ.

წინასწარი ტურნირი, რომელიც 8 საუკეთესო კოლექტივი უნდა გამოავლინოს, კიდევ რამდენიმე ქალაქში გაგრძელდება. 20-27 ოქტომბერს კალათბურთელები რიგასა და ვილნიუსში იასპარეზენ, 19-24 ნოემბერს — კიევსა და მოსკოვში, 15-22 დეკემბერს — ლენინგრადსა და მინსკში. შემდეგ კი 8 საუკეთესო კოლექტივი მედლებისათვის განაგრძობს ბრძოლას.

თბილისის „დინამოს“ აქტივში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გამარჯვებაა. ახლა ჩვენ ისლი გვანუგეშებს, რომ მათ შეხვედრათა უმრავლესობა მცირე სხვაობით წააგეს და გვინდა ვივარაუდოთ, რომ ჩემპიონატის გამავლობაში თანდათან უკეთ და უკეთ ისასარეზებენ.

ორიოდე სიტყვა ტურნირის ორგანიზაციულ მხარეზეც. ჯერ ერთი, საკთხები, რომლებიც ჩვენს გუნდს აწუხებდა, ადრე უნდა მოგვარებულიყო; მეორე, სპორტის სასახლე შეკიბრების სათანადოდ მოშზადებული უნდა დახვედროდა და საქართველოს სპორტკომიტეტში ამ სახეობის კუურატორებსაც მეტი გულისყური რომ გამოეჩინათ, მატჩების დროს ზოგი ხარვეზის მოშშენიც არ გავხდებოდით.

Ლ. ᲓᲔᲕᲘᲫᲔ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲐᲓᲠᲐᲙᲘᲨᲘ

ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲧᲐᲘᲛᲘ

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ წინ კარპოვს სთხოვეს გაემხილა თავისი „შტაბის“ შემადგენლობა. მსოფლიო ჩემპიონმა დასახელა დიდოსტატები ზაიკეევი, მაკარიჩევი, ველერი და ვასიუკოვი. თითოეული მათგანის აზრს იგი, ცხადია, დიდ ანგარიშს უწევს, იყენებს იმ ვარიანტებს, რომლებიც ამ ცნობილმა თეორეტიკოსებმა შეთხვაზეს.

მეთვე პარტიაში კარპოვმა ამ მატჩში უკვე მეორედ მიფის წინა პაიკით დაიწყო. პასუხად კასპაროვმა მიმართა თავის საყვარელ სიცილიურ დაცვას. გავიხსენოთ, რომ მატჩის მეორე პარტიაში პრეტენდენტმა წარმატებები გადაკეთა ყველა სადებიუტო პრობლემა. ამიტომ კარპოვმა, გასაგებია, შეეცალა სადებიუტო სქემა და მიმართა გელერის მიერ დამუშავებულ, ჯერჯერობით ნაკლებად ცნობილ გაგრძელებას.

უნდა ითქვას, რომ კასპაროვმაც სიცილიური დაცვის უბრწყინვალესმა მკოდნემ, პარავედ გადაკეთა სადებიუტო პრობლემები. უმირველს ყოვლისა, მან მეტოქეს საშუალება არ მისცა მისთვის ლაზერი ფრთაზე კოტრთამაში აღეკვეთა. 21-ე სვლაზე პრეტენდენტმა წამოიწყო სინტერესო კომბინაცია პაიკის ღრეობით შეწირვით. რამდენიმე სვლის შემდეგ კასპაროვმა მატერიალური წონასწორობა აღიდგინა. ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა. ამასთან მეტოქეების ტაიტერტიც წამოეპარათ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები თბილისის დინამოელებმა და ქუთაისის ტორპედოელებმა ტაშკენტად გამართეს და ორივენი დამარცხდნენ: თბილისის „დინამო“—ბაკოს „ნეფთჩისთან“ (0:1), ქუთაისის „ტორპედო“ კი ერეკნის „არარატთან (1:3). სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვის „დინამო“-დონეცკის „შახტიორი“—2:0, მინსკის „დინამო“-ხარკოვის „მეტალისტი“—2:1, როსტოვის ასკ-მოსკოვის „ტორპედო“ — 1:1, ეორონეკის „ფაკელი“-ალმა-ათის „აკირთი“ — 1:1. დღისათვის გუნდების „სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	ᲗᲐᲛ.	ᲛᲝ.	ᲤᲐ.	ᲒᲝᲚ.	ᲥᲣᲚᲔᲑᲘ
„დინამო“ კ.	16	7	4	49-17	39
„სპარტაკი“	14	9	4	54-17	37
„დნეპრი“	14	8	6	55-27	36
„დინამო“ მნ	13	8	6	32-20	34
„ტორპ.“ მ	12	8	7	32-26	32
„აკირთი“	9	11	7	28-29	28
„ცალგირისი“	9	9	9	32-39	27
„არარატი“	8	10	8	30-29	26
„დინ.“ თბ	9	7	11	25-30	25
„ზენიტი“	9	6	12	31-30	24
„მეტალისტი“.	9	6	11	29-38	24
„ფაკელი“	8	8	12	19-37	24
„ჩერნოზემორ.“	9	4	14	32-52	22
„ნეფთჩი“	8	6	13	22-34	22
„შახტიორი“	7	8	11	34-38	22
„დინამო“ მ	8	5	13	29-43	21
ასკ რ	7	7	13	30-39	21
„ტორპ..“ ქთ	5	9	13	24-42	19

როგორც ხედავთ, ამ ტურმა ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს საკავშირო ჩემპიონატის „ელიტაში“ ადგილი ვერ დაუმაგრეს. ეს ალბათ ბევრ ადგილობრივ ფანატიკოსს ეწყინებოდა, მაგრამ ეს ასეა. ეს ფაქტი ბევრ ადგილობრივ ფანატიკოსს ეწყინებოდა, მაგრამ ეს ასეა. ეს ფაქტი ბევრ ადგილობრივ ფანატიკოსს